ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4

20 იანვარი
"---"-------- 2017 წ

ქ. თბილისი

„განსაზღვრული მიწის ნაკვეთების მოქ. კობა ერაძისათვის (პ/ნ 01026003638) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №10.34.449 დადგენილებით განსაზღვრული წლიური საიჯარო ქირის დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის და 127² მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „განსაზღვრული მიწის ნაკვეთების მოქ. კობა ერაძისათვის (პ/ნ 01026003638) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №10.34.449 დადგენილებით განსაზღვრული წლიური საიჯარო ქირის დავალიანების გადახდის გადავადების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენისა და ამავე დადგენილების დანართი 1-ით წარმოდგენილ საიჯარო პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 იანვრის №01.07.07 განკარგულების შესაბამისად, გადაუვადდეს მოქ. კობა ერაძეს (პ/ნ 01026003638) საიჯარო ქირის, 2016 წლის 6 ნოემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანების - 10 000 (ათი ათასი) ლარის გადახდა, 3 (სამ) თვეში ერთხელ, არანაკლებ 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარის გადახდის პირობით, 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი